

**პროგრამის სახელწოდება:** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა  
Teacher Training Educational Program

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** -----

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 1 წელს ანუ 2 სემესტრს შეადგენს.

**პროგრამის მიზნები:**

მოამზადოს დაწყებითი კლასების მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;

მოამზადოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მახასიათებლების მქონე წარჩინებული მასწავლებელი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული მახასიათებლებით აღჭურვილი უფროსი მასწავლებელი.

მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის (ინგლისური ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) მასწავლებელი, რომელსაც გააზრებული აქვს და იზიარებს სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის პრინციპებს, ეროვნული კულტურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ბავშვთა უფლებებს.

მისცეს ცოდნა ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნების შესახებ;

მისცეს საგნის მასწავლებლისათვის საჭირო საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული ცოდნა, საბაზისო უნარ-ჩვევები და გამოუმუშაოს მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

მისცეს ცოდნა საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურისა და საგანმანათლებლო კანონმდებლობის საფუძველების შესახებ.

მოამზადოს საგნის მასწავლებელი, რომელიც აღჭურვილი იქნება სასწავლო პროცესისა და კლასის, როგორც განვითარებადი კოლექტივის ხელმძღვანელობის ცოდნითა და უნარებით.

მისცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება; განუვითაროს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სწავლების მეთოდებისა და სწავლების ინდივიდუალური სტილის მოდიფიკაციის უნარი;

განუვითაროს მოსწავლეთა სწავლის პროცესის სირთულეთა განსაზღვრისა და მასზე რეაგირების საწყისი უნარები.

შეასწავლოს განათლების თეორიები და სწავლების მეთოდოლოგიის საფუძველები, სწავლა/სწავლების და შეფასების სტრატეგიები, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, მიზნები, პრინციპები, სწავლების მეთოდები და პრინციპები,

გაიაზროს ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ), როგორც საერთო მიზნების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეული და აქტიური მოქალაქის აღზრდას, რომელსაც განუვითარებს დამოუკიდებლობის, კომუნიკაბელურობის, კანონმორჩილების, ტოლერანტობის, შემოქმედებითობის, ეკოლოგიისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ღირებულებებს.

მოამზადოს პედაგოგიური აზროვნების, თვითშეფასებისა და რეფლექსიის უნარის მქონე სპეციალისტი, რომელიც ორიენტირებული იქნება თვითგანვითარებაზე, განსაზღვრავს საჭიროებებს და სწორად დაგეგმავს პროფესიულ განვითარებას.

პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უახლესი მეთოდური ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციების მქონე საბაზო და საშუალო (ინგლისური ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სკოლის მასწავლებლის მომზადებას ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ ერთ-ერთ მითითებულ საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისურიენა, ისტორია.

#### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდითა და ჩაბარებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა.

#### **სწავლის შედეგები:**

##### **დარგობრივი უნარები:**

აცნობიერებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ცოდნა;

იცის საგნის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;

აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება;

იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, ქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს კლასში მოსწავლის ინტეგრაციას;

იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი;

იცის როგორ დაგეგმოს გაკვეთილი;

იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და სტრუქტურას;

იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო.

აცნობიერებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და იცის როგორ დაგეგმოს გაკვეთილი;

აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ირჩევს მოსწავლის მშობლებთან და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მიდგომებს.

შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

იყენებს სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით;

იყენებს სწავლების კონკრეტულ მეთოდსა და ორგანიზების ფორმასთან დაკავშირებულ ქცევის წესებს;

შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, გაკვეთილის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის მართვა;

იყენებს სწავლისა და განვითარების თეორიებს პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;

იყენებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს სწავლების პროცესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად;

შეუძლია თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით მოტივაციის ამაღლების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;

შეუძლია განსაზღვროს კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და გამოიყენოს კონფლიქტის მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები საკლასო ოთახში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად;  
შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა და მასზე რეაგირება;  
ფლობს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარს;  
იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს;  
ეფექტურად იყენებს ჯგუფური მუშაობის, ასევე თანამშრომლობით, კონკრეტულ და დამოუკიდებელ სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდს;  
აქვს უნარი კანონის შესაბამისი ფორმულირება მისცეს განათლების საკითხებთან წარმოქმნილ შეუსაბამობას;

### **ზოგადი კომპეტენციები:**

კრიტიკულად აანალიზებს, განიხილავს და აფასებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით მოწოდებულ თუ მოძიებულ ინფორმაციას, აკეთებს დასკვნებს და ახდენს არგუმენტირებას;

შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა, დასკვნის გაკეთება, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა;

შეუძლია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და მათი დასკვნის სახით ჩამოყალიბება;

შეუძლია ინდივიდუალური მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით გაანალიზოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროგრესი, გააკეთოს შესაბამისი დასკვნები და შეარჩიოს შეფასების შესაბამისი სტრატეგიები;

შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის ანალიზის შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა, სწავლა სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება

აქვს პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან;

შეუძლია საგანმანათლებლო დაწესებულებების და საზოგადოების წარმომადგენლებთან აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;

შეუძლია მოიძიოს და გამოიყენოს სასწავლო მიზნისათვის შესაბამისი რესურსები, მათ შორის ელექტრონული.

შეუძლია სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო მიზნის შესაბამისად გამოყენება.

აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერების უნარი და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

აქვს უნარი მოიძიოს და პრაქტიკაში დანერგოს სწავლების ინოვაციური სტრატეგიები;

შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, როგორც პროფესიაში წარმატების პირობა.

მოზარდის განვითარების, აღზრდის და განათლების აქტუალური საკითხების მეცნიერულად დამუშავების პროცესში მონაწილეობა და მათ ასაკობრივი და ზოგადი ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებების გააზრების საფუძველზე აყალიბებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ფორმებს კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთანამშრომლობის პრინციპების დაცვით;

უზიარებს კოლეგებს პედაგოგიურ გამოცდილებას;

პატივისცემით ეპყრობა მოსწავლეებს, კოლეგებს და მშობლებს, განსხვავებული უნარისა და თავისებურებების მქონე მოსწავლეს;

უვითარებს მოსწავლეებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებს;

სამართლიანად აფასებს თანამშრომელთა კვალიფიკაციას და მონდომებას მათი პროექტების მართვაში ჩართულობისას;

აცნობიერებს დარგის უმთავრეს ეთიკურ მოთხოვნებს და იცავს მათ როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად.

აყალიბებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ფორმებს კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთანამშრომლობის პრინციპების დაცვით;

### **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:**

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

#### **დასაქმების სფეროები:**

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

კერძო და საჯარო სკოლებში;

სასწავლო ცენტრებში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

პედაგოგთა გადამზადების ცენტრებში;

რესურს-ცენტრებში;

განათლების სფეროში ჩართულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;

მასწავლებელთა სახლებში.

#### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია აიმაღლოს კვალიფიკაცია.

#### **პროგრამის სტრუქტურა:**

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა:

პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინებს - 35 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო);

საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინებს - 15 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო);

სასკოლო პრაქტიკას - 10 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო);

პროგრამა მოიცავს საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინების 4 მოდულს: (თითოეული 15 კრედიტი)

ქართული ენა და ლიტერატურა;

მათემატიკა;

ინგლისური ენა;

ისტორია.